სამშობლო, დედის მუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა..

# ოდიში

1991
ხუთშაბათი
7
მარტი
№28 (10421)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საკრებულოების არჩევნების შესახვედრად

## მაღალი ორგანიზებულობით

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისია, რომელიც არჩევნების შესახებ რესპუბლიკის კანონის თანახმად შეიქმნა, მუშაობას შეუდგა.

კომისიის შემადგენლობა დაკომპლექტებულია ქალაქში რეგისტრირებული პარტიების და ბლოკების წარმომადგენლებით. განაწილებულია ფუნქციები კომისიის წევრებზე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მუშაობა მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი სამუშაო გეგმის შესაბამისად. ეს გეგმა კი გამომდინარეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებული კანონებიდან.

ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით ქალაქი დაყოფილია 9 ოლქად და 17 საარჩევნო უბნად, თითოეულ ოლქში მანდატების რაოდენობა ხუთას არ აღემატება. სულ ქალაქის საკრებულოში აირჩევა 41 დეპუტატი.

ქალაქის ფართო აქტივის მონაწილეობით დამტკიცდა საარჩევნო უბნების საზღვრები. ასევე დაკომპლექტებულია საუბნო საარჩევნო კომისიები, რომლებიც მუშაობენ მათზე გაპიროვნებულ უბნებში.

27 თებერვალს დამთავრდა დამოუკიდებელ კანდიდატთა რეგისტრაცია, რომლის მიხედვითაც რეგისტრირებულია დეპუტატობის 19 დამოუკიდებელი კანდიდატი. ასევე დამთავრებულია არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაცია, რომლებიც პარტიულ სიებს წარმოადგენენ არაუგვიანეს 7 მარტისა.

საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულია ოთხი პარტია „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო", საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტია, სახალხო ფრონტი, „ლემის" რეგიონალური ორგანიზაციის ზუგდიდის განყოფილება. დამთავრებულია დამოუკიდებელ კანდიდატურებზე საინიციატივო ჯგუფების მიერ მხარდამჭერთა სიების წარმოდგენა. ასე რომ დიდი და პასუხსაგები სამუშაო მოგველის. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად რესპუბლიკაში საკმაოდ რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებაა, რომ მაქსიმალურად არის შემჭიდროებული საარჩევნო კამპანიის ვადები, ნათელი ხდება თუ რა დიდი და დაძაბული მუშაობის გაწევა გვმართებს. მთელი ჩვენი ძალისხმევა უნდა წარვმართოთ იქითკენ, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანია ჩავატაროთ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული არჩევნების კანონის სრული შესაბამისობით.

ამჟამად საარჩევნო უბნებში მიმდინარეობს ამომრჩეველთა სიების დაზუსტება და ახსნა განმარტებითი მუშაობა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება საარჩევნო უბნების კეთილმოწყობა და გაფორმება, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საარჩევნო უბანი, სადაც უნდა გამოცხადნენ ამომრჩევლები ლამაზად გაფორმებული და მიმზიდველი ყოს.

ი. ლურწკაია,
საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივ საკრებულოთა არჩევნების ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

## სოფლად საიჯარო ურთიერთობის დანერგვა — მთავარი და გადამწყვეტი

რესპუბლიკის მთავრობამ გარდამავალი პერიოდის ამჟამინდელ ეტაპზე მიზანშეწონილად ჩათვალა არსებული შინაარსით, ანუ სანარდო საიჯარო ურთიერთობათა შენარჩუნება და განვითარება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 იანვრის № 42 დადგენილებით მიღებულია დებულება სოფლის მეურნეობაში საიჯარო ურთიერთობის შესახებ, რომელმაც უნდა იმოქმედოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიწის შესახებ კანონის მიღებამდე.

ამრიგად, საიჯარო ურთიერთობის განვითარების საკითხი ამ ეტაპზე თვითეული ჩვენთაგანის უპირველესი ამოცანა გახდა, იმ მიზნით, რომ მიმდინარე წელსავე დაძლეულ იქნას სასურსათო პროდუქტების წარმოების უკიდურესად დაბალი დონე.

იჯარა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის ახალი არ არის. წარმოებითი ურთიერთობის ამ ფორმის გამოყენება ჩვენთან ჯერ კიდევ 1988 წლიდან მიმდინარეობს. სხვა საქმეა, რომ მან ფართოდ ვერ მოიკიდა ფეხი და მხოლოდ ცალკეულ შრომით კოლექტივებში გაითავისეს იგი. ამის მიზეზი ბევრია—უპირველეს ყოვლისა, გლეხმა იგი მიიჩნია მორიგ კომპანიად (როგორც ეს ჩვეოდა მაშინდელ ბიუროკრატიულ რეჟიმს), რომელიც იხმაურებს, იხმაურებს და დაწყნარდება, ტრადიციული ძველებურად წავა. გარდა ამისა გავლენა მოახდინა ეკონომიკურმა და სამართლებრივმა მცირემცოდნეობამ. ბევრგან იჯარამ ფორმალური ხასიათი მიიღო, რადგან ირღვეოდა მისი პრინციპები, ეახინჯდებოდა არსი. ამიტომ გლეხი მას უნდობლად მოეკიდა და არც უსაფუძვლოდ —დღიური გამომუშავების ნორმებით მუშაობის წლობით კულტივირებულმა ფსიქოლოგიამ მასში დაბადა ეჭვი, რომ იჯარა შელახავდა მის ინტერესებს.

დღეს, როდესაც წარსულს ჩაბარდა მართვის ადმინისტრაციულ-ბრძანებლური სისტემა, უზუალოდ მწარმოებელმა გარკვეული სამართლებრივი და ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა, ახეთ პირობებში იჯარამ ახლებური შინაარსი შეიძინა. ამის გამოხატულებაა რესპუბლიკის მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებით მიღებული დებულებაც საიჯარო ურთიერთობის შესახებ, რომელიც უფრო დახვეწილია, კონკრეტულია და განთავისუფლებულია ყოველგვარი დრომოჭმული დოგმებისაგან. ამასთან მასში ბევრი სიახლეც არის.

როგორც ცნობილია იჯარა იწოდება, როგორც ქონებრივი დაქირავება. ქონებრივი დაქირავების არსი მდგომარეობს იმაში, რომ ხელშეკრულების თანახმად ერთი მხარე (გამქირავებელი—მეიჯარე) ვალდებულებას ღებულობს გადასცეს მეორე მხარეს (დამქირავებელს—მოიჯარეს) ქონება გარკვეული ვადით მფლობელობაში გარკვეული საზღაურით.

რისი აღება შეიძლება იჯარით? პრაქტიკულად ყველაფრის—მიწის, საამქროების, განყოფილებების, უბნების, ფერმების, ბრიგადების, ცალკეული შენობების, სამეურნეო ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, მუშა და პროდუქტიული პირუტყვის, სხვა მატერიალური ფასეულობების.

დღეს ყველა ეს ქონება საზოგადოებრივი მეურნეობების გამგებლობაშია, ამიტომ ისინი არიან მეიჯარეები.

ვინ შეიძლება იყოს მოიჯარე? საქართველოს რესპუბლიკის ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე ან შრომითი კოლექტივი.

იჯარა ორი სახისაა—თავისუფალი იჯარა და საწარმოო იჯარა. ამჟამად კურსი აღებულია საწარმოო იჯარის ე. ი. შიდასამეურნეო ანუ სანარდო იჯარის განვითარებაზე. მისი დანიშნულებაა—აწარმოოს გარკვეული სახის პროდუქცია და ხელშეკრულების შესაბამისად მიჰყიდოს იგი მეიჯარეს. დადგენილი მოცულობის ზევით მიღებული რაოდენობა კი მოიჯარისაა და იყენებს საკუთარი შეხედულებით.

ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ურთიერთკავშირს მოიჯარესა და კოლმეურნეობის გამგეობის ან მეურნეობის ადმინისტრაციასთან, არის ხელშეკრულება, ამიტომ ხელშეკრულების სწორად შემუშავებას დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისათვის.

რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებამ გაითვალისწინა, რა ყოველივე ზემოთ აღნიშნული და იჯარის განვითარების დიდი მნიშვნელობა მოცემულ ეტაპზე, იჯარაზე მთავრობის დადგენილების მიღების დღიდანვე შეუდგა გარკვეული ღონისძიებების გატარებას, რომელიც ითვალისწინებს შრომითი კოლექტივებისათვის დახმარების გაწევას საიჯარო ურთიერთობის სრულყოფილად დანერგვის საქმეში. ამ მიზნით ყველა კოლმეურნეობა და მეურნეობა მომარაგდა საჭირო რაოდენობით ხელშეკრულების ერთიანი ფორმებით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ყოველდღიურად ხუთი კოლმეურნეობისა და მეურნეობის ხელმძღვანელის, მთავარი და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით მოეწყო სემინარები საიჯარო ურთიერთობის პრაქტიკულად განხორციელების საკითხებზე, ასევე თითოეულ მეურნეობაში მიმაგრებულ იქნა რეკომენდაციების გასაწევად გაერთიანების სპეციალისტები და ა. შ. მაგრამ ყოველივე აღნიშნული საჭირო ეფექტს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ ანალოგიური მუშაობა გაიშლება კოლმეურნეობაში, მეურნეობაში, მის ქვედანაყოფებში. ამისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია ადგილებზე შეიქმნას კომისიები, რომლებშიც შევლენ არამარტო ხელმძღვანელები და სპეციალისტები, არამედ მეჩაიეები, მეცხოველეები, მევენახეები, მეციტრუსეები და ა. შ. ისინი, ვინც იცნობს იჯარით მუშაობის პრინციპებს და რომელთა პატიოსან სიტყვას და საქმეს სათანადო მხარდაჭერა აქვს მოსახლეობაში. ამასთან საიჯარო ხელშეკრულების შემუშავებაში აუცილებლად მონაწილეობა უნდა მიიღოს იურისტმა, იგი არამარტო ეკონომიკურად, არამედ იურიდიულადაც გამართულად უნდა იყოს შედგენილი.

საიჯარო ხელშეკრულებაში თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი ძირითადი მომენტია საანგარიშსწორებო ფასი. ეს ის ფასია, რომლითაც მოიჯარე მეურნეობას მიყიდის მის მიერ წარმოებულ პროდუქციას, ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საანგარიშსწორებო (ანუ სახელშეკრულებო) ფასის სწორად განსაზღვრას. იგი ისე უნდა იყოს დადგენილი, რომ მან უზრუნველყოს პროდუქციის წარმოების გადიდებით მოიჯარის მიერ მოგების მიღება, მისი მატერიალური დაინტერესება, ასევე მეიჯარის მიერ გარკვეული მოგების მიღებაც, რომელიც მას ესაჭიროება სახელმწიფო სავალდებულო გადასახადების გასასტუმრებლად, წარმოების განახლებისათვის და სოფლის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის.

თამაზ [illegible].

(დასასრული მორიგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიულ-საარჩევნო კომისიაში შემავალი ოლქები და უბნები

**თბილისის საარჩევნო ოლქი № 1**

ცენტრი: ქადრაკის სახლი თბილისის ქუჩაზე.

**შემავალი უბნები:**

**თბილისის საარჩევნო უბანი № 1**

ცენტრი:—ქადრაკის სახლი თბილისის ქუჩაზე.

საზღვრები: გამარჯვების ქუჩა № 1-დან დადიანის ქუჩამდე, თავისუფლების ქუჩა № 1-დან ლერმონტოვის ქუჩამდე, კოლხეთის ქუჩა № 1-დან დადიანის ქუჩამდე, თავისუფლების ქუჩა № 1-დან ლერმონტოვის ქუჩამდე. კომკავშირის ქუჩა № 1-დან ლერმონტოვის ქუჩამდე. ჭყონდიდელის ქუჩა 1-დან დადიანის ქუჩამდე. ჭავჭავაძის, ნეკრასოვის, 1 მაისის, ცარშავის, ჯანაშიას, კარლ-მარქსის, კოლხეთის 1-ლი შესახვევი, ბოსნერის, ორბელიანის, ძნელაძის, ძნელაძის ჩიხი, მარქსის ჩიხი, ვაჟა-ფშაველას შესახვევებით, თბილისის, შ. ქირიას ქუჩები.

**თავისუფლების საარჩევნო უბანი № 8**

ცენტრი: ექსპერიმენტალური ჩაის ფაბრიკა.

საზღვრები: კოლხეთის ქუჩა დადიანის ქუჩიდან ბოლომდე. ჭყონდიდელის ქუჩა დადიანის ქუჩიდან ბოლომდე. თავისუფლების ქუჩა ლერმონტოვის ქუჩიდან ბოლომდე. კომკავშირის ქუჩა ლერმონტოვის ქუჩიდან ბოლომდე. ფრუნზეს, კეცხოველის შესახვევებით. გრიშაშვილის თათარიშვილის, ლომთათიძის თავისი შესახვევით. კოლხეთის მე-2, მე-3, მე-4 შესახვევებით. დადიანის, 8 მარტის, ლერმონტოვის შესახვევი, კუბის, ოსტროვსკის, გ. ცაბაძის, პ. ბენდელიანის შესახვევით, თავისუფლების ქუჩა შესახვევებით.

**ჩაის კომბინატ „ოდიშის" საარჩევნო ოლქი № 2**

ცენტრი: № 1 ჩაის ფაბრიკის კლუბის შენობა დ. აღმაშენებლის ქუჩაზე.

**შემავალი უბნები:**

**ჩაის კომბინატ „ოდიშის" საარჩევნო უბანი № 2**

ცენტრი: № 1 ჩაის ფაბრიკის კლუბის შენობა დ. აღმაშენებლის ქუჩაზე.

საზღვრები: დ. აღმაშენებლის ქუჩა ჯავახიშვილის ქუჩიდან ბოლომდე. ჯავახიშვილის, ჩაიკოვსკის, ჭონქაძის, ბარათაშვილის, პეტრიაშვილის, ლომონოსოვის, ჩეხოვის, გრიბოედოვის, შესახვევით, კრილოვის შესახვევებით, მექანიკური კომბინატის, ჩაის კომბინატ „ოდიშის", № 2878 ავტოკოლონის და № 1 ჩაის ფაბრიკის დასახლებები, გორის, მცხეთის. მაიაკოვსკის, ერისთავის შესახვევით.

**რუსთაველის საარჩევნო უბანი № 4**

ცენტრი: საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის შენობა გეგეჭკორის ქუჩაზე.

საზღვრები: დ. აღმაშენებლის ქუჩა კოსტავას ქუჩიდან ჯავახიშვილის ქუჩამდე. გამარჯვების ქუჩა № 1-დან დადიანის ქუჩამდე, კოსტავას ქუჩა №1-დან ბოლომდე. გეგეჭკორის ქუჩა თავისი შესახვევით, ჩიხით, შაუმიანის, ჯორჯიაშვილის, დიმიტროვის. ქუჩები.

**ცოტნე დადიანის საარჩევნო ოლქი № 3**

ცენტრი: რაიონის კულტურის სახლი რუსთაველის ქუჩაზე.

**შემავალი უბანი**

**ცოტნე დადიანის საარჩევნო უბანი № 5**

—ცენტრი: რაიონის კულტურის სახლი რუსთაველის ქუჩაზე.

საზღვრები: რუსთაველის ქუჩა № 1-დან ჩხოუშიის ხიდამდე, ყაზბეგის ქუჩა № 1-დან ბოლომდე, დ. აღმაშენებლის ქუჩა № 1-დან კოსტავას ქუჩამდე, თეატრის, ცოტნე დადიანის, ნინოშვილის შესახვევებით, წმინდა ნინოს, ეგრისის ქუჩები თავისი შესახვევებითა და ჩიხით, მეუნარგიას ქ. შესახვევებით, გორკის, გოროვსკის, ანთელავას, წულუკიძის, გრ. როგავას, ბუდაპეშტის, გაგარინის, მარცხენა სანაპიროს, ქურიშვილის ქუჩები შესახვევით, კლდიაშვილის ქ. შესახვევით, ჯიქიას, ა. როგავას, შალიკიძის, არაგვისპირულის, ლესია უკრაინკას, ხოსე დიასის, პლეხანოვის ქუჩები.

**წერეთლის საარჩევნო ოლქი № 4**

ცენტრი: ტაქსომოტორების ასს შენობა სოხუმის ქუჩაზე.

**შემავალი უბანი:**

**ოდიშის საარჩევნო უბანი № 6**

ცენტრი: ტაქსომოტორების ა ს ს შენობა სოხუმის ქუჩაზე.

საზღვრები: სოხუმის ქუჩა № 1-დან მდ. ჩხოუშიამდე, ოდიშის, ლეონიძის, ცაიშვილის, ვ. ზაქარაიას ჩიხით, სამეგრელოს ქ. შესახვევით, ბელინსკის, ფალიაშვილის, მელიქიშვილის, სარაჯიშვილის, გაგარინის 1-ლი შესახვევი, ჩიტაძის ქ. თავისი შესახვევებით, ჩიხით, კიკვიძის, საკაძის, ბათუმის ქ. შესახვევით, ჩოდრიშვილის, წერეთლის ქ. შესახვევებით, კავკასიონის, დეკაბრისტების, ბაგრატიონის, ბუქარესტის, წითელ რაზმელთა, კრასნოდარის, შევჩენკოს, ჟუკოვის, სვანეთის, შეროზიას, წმინდა გიორგის ქუჩები თავისი შესახვევებით.

**სოხუმის საარჩევნო ოლქი № 5**

ცენტრი: ფაიფურის ქარხნის დირექციის შენობა ახალგაზრდობის ქუჩაზე.

**შემავალი უბნები**

**მშენებელთა საარჩევნო უბანი № 7**

ცენტრი: № 8 სამშენებლო სამმართველოს შენობა მოსკოვის ქუჩაზე.

საზღვრები: სოხუმის ქუჩა მდ. ჩხოუშიიდან ბოლომდე. პაპანინის ქუჩა № 1-დან ბოლომდე შესახვევებით, ბორჯომის ქუჩა № 1-დან ბოლომდე თავისი შესახვევით, ტურგენევის, სამგორის, მოსკოვის, სოხუმის, ქუჩის ყველა შესახვევი და ჩიხი, გეკუას შესახვევი, მაჩაბლის, ბელინსკის, ჩკალოვის, მარჯვენა სანაპიროს, № 2 ჩაის ფაბრიკის დასახლება.

**მეფაიფურეთა საარჩევნო უბანი № 8**

ცენტრი: ფაიფურის ქარხნის დირექციის შენობა ახალგაზრდობის ქუჩაზე.

საზღვრები: ჩიქოვანის ქუჩა შესახვევით, წყალსადენის, ყუფუნიას, ხერგიანის ქუჩა შესახვევით, გრანელის ქუჩა შესახვევებით, ფიფიას ქუჩა შესახვევით, მანჯგალაძის ქუჩა შესახვევებით ახალგაზრდობის ქუჩა, ფაიფურის ქარხნის დასახლება.

**პუშკინის საარჩევნო ოლქი № 6**

ცენტრი: № 1 სატვირთო ავტოსაწარმოს შენობა პუშკინის ქუჩაზე.

**შემავალი უბნები:**

**პუშკინის საარჩევნო უბანი № 9**

ცენტრი: № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს შენობა პუშკინის ქუჩაზე.

საზღვრები: საბჭოს ქუჩა № 1-დან პუშკინის ქუჩამდე, პუშკინის ქუჩა № 1-დან ბოლომდე, ბერძენსკის ქუჩა № 1-დან ბოლომდე, შავჭავაძის ქუჩა 1-დან ბოლომდე, გურამიშვილის ქუჩა ჩიხებით. კობახიძის, ტაბიძის, კლარა ცეტკინის, სამაიას, მირცხულავას, მოსაშვილის თავისი შესახვევებით, ნ. ნიკოლაძის № 1-დან ბოლომდე.

**ქუთაისის საარჩევნო უბანი № 10**

ცენტრი: წყლების დაცვის ინსპექციის შენობა ბუდიონის ქუჩაზე.

საზღვრები: საბჭოს ქუჩა პუშკინის ქუჩიდან ბოლომდე შესახვევებით, გოგებაშვილის, კუიბიშევის შესახვევებით, გოგოლის, ფურცელაძის, რუბაძის, ქუთაისის, კრუპსკაიას თავისი შესახვევებით, ჩაპაევის, ბუდიონის, ფიროსმანის, ოდესის ქუჩები.

**რკინიგზელთა საარჩევნო ოლქი № 7**

ცენტრი: რკინიგზის სადგურის შენობა რუსთაველის ქუჩაზე.

**შემავალი უბნები:**

**რკინიგზელთა საარჩევნო უბანი № 11**

ცენტრი: რკინიგზის სადგურის შენობა რუსთაველის ქუჩაზე.

საზღვრები: რუსთაველის ქუჩა მდ. ჩხოუშიიდან ბოლომდე თავისი შესახვევებით, ჩიჩუას ქუჩა, ლენინგრადის, ფოთის, მეხხიას შესახვევით, ჩელუსკინელების, ბაქოს, ფოთის, ლესელიძის, გაბაშვილის, ჩაჩიბაიას, დუტუ მეგრელის, ბესიკის ქუჩები.

**ნ. ბხოლავას სახელობის რესპუბლიკური საავადმყოფოს საარჩევნო უბანი № 15**

ცენტრი: საავადმყოფოს შენობა კოლხეთის ქუჩაზე.

**რაიონული საავადმყოფოს საარჩევნო უბანი № 16**

ცენტრი: რაიონული საავადმყოფოს შენობა კოსტავას ქუჩაზე.

**ინტერქალაქკომბინატის მეძსანნაწილის საარჩევნო უბანი № 17.**

ცენტრი: მეძსანნაწილის შენობა ი. ქ. კ.-ის ტერიტორიაზე.

**მეკონსერვეთა საარჩევნო ოლქი № 8**

ცენტრი: საკონსერვო ქარხნის შენობა თამარ მეფის ქუჩაზე.

**შემავალი უბანი:**

**მეკონსერვეთა საარჩევნო უბანი № 12**

ცენტრი: საკონსერვო ქარხნის შენობა თამარ მეფის ქუჩაზე.

საზღვრები: თამარ მეფის ქუჩა №1-დან ქუთაისის ქუჩამდე, სვერდლოვის, ქუჩა შესახვევებით, კოლხიდის, ერევნის, ხაირმის, ურიცკის, წალენის, კონსტიტუციის, ენგელსის ქ. შესახვევებით, ტრეტიაკოვის, გამსახურდიას, ლვოვის, წითელპარტიზანელთა, ლომოურის ქ. შესახვევებით. რიგის, ბუკიას, ტოლსტოის ქ. შესახვევებით. ჩერნიშევსკის, სოსელიას, დეკანოზიძის ქუჩები, ტოლსტოის ჩიხი.

**მექალაქეთა საარჩევნო ოლქი № 9**

ცენტრი: გამაჯანსაღებელი ცენტრის შენობა კომბინატის ტერიტორიაზე.

**შემავალი უბნები**

**მექალაქეთა საარჩევნო უბანი № 13**

ცენტრი: გამაჯანსაღებელი ცენტრის შენობა იქკ-ის ტერიტორიაზე

საზღვრები: ქობულეთის, კალანდაძის, პავლოვის შესახვევი, მექალაქეთა, ჯანაშიას ქ. შესახვევებით, სპეციალისტების ქუჩა შესახვევებით, ცანავას, ხუროროვის ქ. შესახვევებით, ტაშკენტის. ქ. შესახვევებით, საქქალაქმრეწვის მეორე უბნის მუშათა დასახლება.

**მარჯანიშვილის საარჩევნო უბანი № 14**

ცენტრი: „საქქალაქმრეწვის" საერთო საცხოვრებელი;

საზღვრები: თამარ მეფის ქუჩა ქუთაისის ქუჩიდან ბოლომდე შესახვევებით, კამოს ქუჩა, კუტუზოვის, „პრავდის" ქუჩა შესახვევებით, დ. შენგელიას შესახვევებით, სხულუხიას ქუჩა შესახვევებით, გორგასალის ქუჩა შესახვევებით, ვოლგოგრადის, ხორავას, სტახანოვის შესახვევებით. კიევის ქუჩა, მალინოვსკის, მარჯანიშვილის ქუჩები.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა არჩევნების ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარე — **ი. ლუჩკაია.**

მდივანი — **ნ. ქანთარია.**

---

# ვშეყო სისხლისღვრა

ოცდამეერთე საუკუნე კარს მოგვდგომია. და დღეს ნებისმიერი მოქალაქის ფიქრი უტრიალებს კითხვას: როგორი იქნება იგი, შევიცვლებით თუ არა ჩვენ, ადამიანები, უკეთესობისაკენ? საზოგადოება დაიღალა ამდენი უბედურებებისაგან. ყველას შიში და ძრწოლა იპყრობს ხვალინდელ დღეზე. მარტო ჩვენი რესპუბლიკის შიგნით დატრიალებული ამბები ავიღოთ. ისევ ძმათა კვლა, იარაღის ჟღარუნი, უ[illegible]თიერთდაპირისპირება. ნუთუ არ უნდა გამოგვ[ფ]ხიზლოს ტაძარ-მონასტრებში აგუგუნებულმა ზარებმა. ნუთუ არ უნდა დაივანოს ჩვენს სულში ღვთისა და მოყვასის სიყვარულმა? გონებას არ შეუძლია დაიჯეროს, რიღაცნაირი ახსნა მოუძებნოს სამაჩაბლოში მცხოვრები ოსების უმადურობას. რატომ გაგვიმეტეს ასე, რატომ სურთ სატანას მიჰყიდონ სული და ლაფში ამოსვარონ ქართველთა მიერ მათთვის გაღებული სიკეთე. რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს ოსი ხალხის პოზიცია და განწყობილებაა. ბოროტი მესამე ძალა უმღვრევს მათ ტვინს, ოსი ექსტრემისტების უგუნურება თვით თავისი ხალხის წინააღმდეგ მიმართული მახვილია.

რამდენი შიში დათესა ჩვენს გულებში ერაყის მიერ ქუვეითის აგრესიამ. სადამ ჰუსეინის რეჟიმმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა მთელი მსოფლიო, რომ დიქტატურის დრო წავიდა. რაც დრო გადის, მით უფრო ნათელი ხდება აქსიომატური ჭეშმარიტება: დემოკრატიულმა ძალებმა სავსებით აითვისეს კოალიციის ხელოვნება და მათ შესწევთ იმის უნარი რომ რეაქციულ მიმდინარეობებს, მავანთა აგრესიულ ზრახვებს და ზღვარდაუდებ ამბიციებს საკადრისი პასუხი გასცენ.

ადამიანებს შინ და გარეთ მშვიდობა ენატრებათ. ბრძენის ნათქვამიც გავიხსენოთ: „მშვიდობა ძვირფასი თვალია, თეხნიერ რომლისა არც ქვეყანასა ზედა და არც ცასა შინა ვერავითარი ზედნიერება ვერ შეხაძლო არს".

**დ. გეთია,**

ოდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავაჩქაროთ საგაზაფხულო სამუშაოები

მიმოხილვა

აგრარულ სექტორში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, მთავარია სანიმუშოდ მოვემზადოთ და მაღალორგანიზებულად ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები. მიმდინარე წელი უნდა იყოს გარდატეხის წელი, უნდა გვახსოვდეს, რომ რესპუბლიკისათვის განსაკუთრებულია ეს გაზაფხული, განსაკუთრებულია იგი რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვისაც. სულ რაიონში რიცხული 8000 ჰექტარი ჩაის მოსავლიანი პლანტაციებიდან დღეისათვის მინერალური სასუქები შეტანილია 6240 ჰექტარზე, გადაბარვა-გაფხვიერების სამუშაოები კი ჩატარებულია 4850 ჰექტარზე. გასულ პერიოდში ამინდის ხელსაყრელი პირობები კარგად გამოიყენეს და სასუქების შეტანის და გადაბარვა-გაფხვიერების სამუშაოები ხარისხიანად ჩაატარეს: ახალაბასთუმნის, გრიგოლიშის, ყულიშკარის, ნარაზენის, ჭიხაშკარის კოლმეურნეობებში, დარჩელის, ზედაეწერის მეურნეობებში, ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში. აღნიშნული სამუშაოები დასასრულს უახლოვდება ახალსოფლის, კოლხიდის, ახალკახათის, კახათის, კორცხელის, ჭაქვინჯის, ჭითაწყარის კოლმეურნეობებში, დიდინეძისა და ონარიის საზოგადოებრივ მეურნეობებში.

ტემპის გაძლიერება მართებთ ოდიშის, ოქტომბრის, რუხის, შამგონის, ტყაის, ურთის კოლმეურნეობებს. ანაკლიის მეურნეობის მეჩაიე მშრომელებს, სპეციალისტებს. აღნიშნული სამუშაოები დღემდე არაა დაწყებული განმუხურის მეურნეობაში, სადაც 15 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია ერიცხებათ. აგროვადების დაცვა ყველასათვის აუცილებელია, რადგან აგროვადების დარღვევით ჩატარებულ სამუშაოებზე გახარჯული სახსრები უკუგებას არ იძლევა.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, რაიონში რიცხული 787 ჰექტარი ციტრუსის ფართობიდან საზამთრო-საგაზაფხულო დამუშავება — რიგთაშორის ხვნა ჩატარებულია 250 ჰექტარზე. 100 ჰექტარზე შეტანილია 8,0 ათასი ტონა ნაკელი.

ტუნგის ნარგავებში ძირების შემობარვა ჩატარებულია 170 ჰექტარზე (ნაცვლად 1722 ჰექტარისა), მინერალური სასუქები (ფოსფორი, კალიუმი) შეტანილია 100 ჰექტარზე.

დაფნის 222 ჰექტარი პლანტაციიდან გადაბარვა ჩატარებულია 160 ჰექტარზე.

რაიონში არსებულ 52 ჰექტარ ვენახის ნარგავებში დამთავრებულია რიგთაშორისების გადაბარვა და შეტანილია 5000 ტონა ნაკელი.

მხვნელ-მთესველებს სერიოზული შრომა მართებთ 5500 ჰექტარიდან ერთწლიანი კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად. პირველი ხვნა რაიონში ჩატარებულია 3200 ჰექტარზე. ზვრის ნათესთა ფართობი 600 ჰექტარია.

დავაჩქაროთ საგაზაფხულო სამუშაოები, მოვიმარაგოთ თესლი, მთავარი ყურადღება — შესრულებულ სამუშაოს ხარისხს.

დ. ჟანტურია,
რაიონის მთავარი აგრონომი.

---

მერძეობის პარალელურად მეცხოველეებმა უნდა თქვან თავიანთი სიტყვა გარდამავალ პერიოდში. ერთი დარგი მეორისაგან რამ გამიჯნა? ქვეყანას ერთიც ესაჭიროება და მეორეც. მეცხოველეობის წამოსაწევად საჭიროა ხელშემშლელი პირობების მოგვარება. დიდ სიძნე-

შეინარჩუნა 28-მ. რძის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა ვერ შეასრულა 22-მა საზოგადოებრივმა მეურნეობამ.

ბუნებრივია იბადება კითხვა, რამ განაპირობა პოზიციების დათმობა?

პასუხი შემდეგია: რაიონში შექმნილმა სიტუაციამ,

ერთ საზოგადოებრივ მეურნეობაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. ბევრგან მეცხოველეობაზე ფულადი დანახარჯების შემცირების მიზნით გაათავისუფლეს მოცხლად-ტექნიკოსები. ეს ფაქტი აღინიშნება ახალკახათის, რუხის, ცაიშის

მეცხოველეობა — 91

# სხვათა მოიმედეობის დრო აღარაა

ლეს იწვევს ელექტროენერგიის წყვეტილობა. ასეთ შემთხვევაში დანაკარგებთან აუცილებლად გვაქვს საქმე. ელექტროენერგიასთან არის დაკავშირებული საკვებგამტანი ტრანსპორტიორების მუშაობა, მანქანური წველა, წყლის მიწოდება და სხვა. საკმაო ერთი რგოლთაგანის ჩავარდნა და ირღვევა რძის მიღების გრაფიკი, არის სხვა ხელშემშლელი ფაქტორებიც, რაც საკვების საკმაო რაოდენობით მოუმარაგებლობით უნდა აიხსნას, კომბინირებული საკვების დეფიციტმაც იქონია ზეგავლენა პროდუქციის წარმოებაზე, მის თვითღირებულებაზე.

გასულ წელს რაიონში შემცირდა პირუტყვის პროდუქტიულობა. საშუალოდ თითოეული ფურიდან წინა წელთან შედარებით წარმოებულ იქნა 400 კილოგრამით ნაკლები რძე და მან შეადგინა 1988 კილოგრამი.

რაიონის რძის მწარმოებელი 84 საზოგადოებრივი მეურნეობიდან რძის წარმოების დონე შეამცირა 80-მა. ფურების საშუალო პროდუქტიულობა ვერ

საზღვრულებული დისციპლინის მოშლამ ერთგვარი ზეგავლენა იქონია დარგის წარმატებაზე. ბევრგან დემოკრატიზაცია ისე გაიგეს, თითქოს ნებადართული იყო მოეწეული სახლში წაეღოთ, საზოგადოებრივი ფერმები კი დარჩა საჭირო საკვების მარაგის გარეშე. გარდა ამისა, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა მოადუნეს დარგისადმი ყურადღება იმის მოლოდინში, თითქოსდა შეიცვლებოდა საკოლმეურნეო სტრუქტურა და შესაბამისად მე ლმძღვანელობაც.

დარგის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ ისიც, რომ ცუდადაა ორგანიზებული სანაშენე მუშაობა თითქმის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობებში. სათანადო ყურადღება არ ექცევა მაღალპროდუქტიული პირუტყვიდან მიღებული ნამატის მიზანმიმართულ გამოზრდას. უგულებელყოფილია მეცხოველეობაში ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორიცაა ფურებისა და დეკეულების ხელოვნური დაგრილება მაღალი კლასის მწარმოებლებიდან მიღებული თესლით. რაიონის თითქმის არც

კოლმეურნეობებში, ოქტომბრის რძის საწარმოში, ონარიის მეურნეობაში და სხვაგან.

ყოვლად გაუმართლებელი მიზეზების გამო რიგ საზოგადოებრივ მეურნეობებში ადგილი აქვს ხელოვნურად როგორც პროდუქტიულობის, ასევე საერთო სულადობის შემცირებას იმ მოტივით, თითქოსდა ადგილზე არ ქონდეთ შენახვის შესაძლებლობა. ბევრგან აღნიშნული წინადადებები სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ მისი საყოველთაოდ გავრცელება მოკლებულია ყოველგვარ სინამდვილეს.

გამოზამთრების პერიოდში ადგილი ჰქონდა რიგ ხარვეზებს, მაგრამ ერთი რამ მაინც საგულისხმოა. გავიდა სხვათა მოიმედეობის დრო. ყველა საზოგადოებრივმა მეურნეობამ უნდა იზრუნოს დარგის აღორძინებისათვის, ადგილობრივი მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ერთი სიტყვით მეცხოველეობის დარგში ჩამორჩენის დასაძლევად ყოველმხრივი შრომა და მონდომებაა საჭირო.

ა. ბერაია.
რაიონის მთავარი ზოოტექნიკოსი.

---

# კოლხეთში ნაოსნობის ისტორიიდან

როგორც ვწერდით მდინარე რიონზე გადიოდა სავაჭრო-სატრანზიტო გზა ამიერკავკასიით ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის. იგი ხელს უწყობდა საქართველოსა და ამიერკავკასიაშიც კომერციული საქმიანობის გაფართოებას.

ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს რა საქონელი შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ფოთი-ყულევის ნავსადგურებიდან. საქონელი შემოჰქონდათ (შაქარი, მარილი, რკინეულის ნაწარმი, მანუფაქტურა და სხვა) ტრაპიზონიდან, კონსტანტინეპოლიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ოდესიდან, ტაგანროგიდან, ყირიმიდან და სხვა ადგილებიდან. საქართველოდან გაჰქონდათ ხე-ტყე (მუხა, კაკლის ხე, ბზა, ბალმა, ძელქვა და სხვა): სიმინდი, აბრეშუმის პარკი, ღვინო, თამბაქო, თხილი და სხვა.

მეფის რუსეთი საქართველოს ხე-ტყის ულმობელ ექსპლოატაციას ეწეოდა, რასაც გმობდნენ არა მარტო ქართველები, არამედ ნაღდად მოაზროვნე არაქართველებიც გულისტკივილით აღნიშნავდნენ. ასეთი გულისტკივილით გაზეთ „კავკაზის" კორესპონდენტი პრესაშიც გამოვიდა. კაკლის ხეების მოჭრით მიღებულ შემოსავალზე მეტ სარგებლობას განა მისი ნაყოფი არ მოგვიტანდა, კით-

ხულობდა იგი (იხ. გაზეთი „კავკაზი" 1850 წ. №44).

საქართველოს მაშინდელმა რუსმა მმართველებმა ხე-ტყის ასათვისებლად უცხოელი კომერსანტებიც მოიწვიეს (გამბა და სხვ.) და ძვირფასი ხე-ტყის მასალა გაზიდეს ევროპაში დასავლეთ საქართველოდან. თვითონაც იმპერიის დაუბრკოლებლივ გაჰქონდა ხე-ტყის უნიკალური ჯიშები, წიაღისეული სიმდიდრეები (მარგანეცი და სხვ), სასოფლო სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული.

დატრიალდნენ ადგილობრივი ვაჭარ-კომერსანტებიც, უპირველესად თბილისიდან ქართველი და სომეხი ვაჭრები. ამას ხელს უწყობდა ერთხანს ამიერკავკასიის სატრანზიტო გზაზე შემოღებული შეღავათიანი საბაჟო ტარიფები, რაც რუსეთმა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე დაუშვა.

ქუთაისის მუზეუმის 1820 წლის საარქივო მასალებიდან ჩანს (№2034, 2047), რომ დასავლეთ საქართველოს სოფლებიდან სიმინდის დიდი რაოდენობით შესყიდვას და მის საზღვარგარეთ გაზიდვას აწარმოებდნენ ვინმე ღულაძე და ხოშტარია.

ყულევ-ფოთის ნავსადგურებიდან, როგორც ითქვა, გაჰქონდათ ღვინოც. მაშინდელ საქართველოში დამზადებული ღვინოები არა მარტო ტოლს არ უდებდა ევროპულს (საფრანგეთი და სხვა), არამედ უკეთესი ხარისხისაც იყო. იმ დროს საქართველოში ყურძნის წვენისაგან ბუნებრივ, ნატურალურ ღვინოს ამზადებდნენ. 1887 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილებში ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ ევროპაში ხელოვნური ჩარევებით ვითომდა გამაუმჯობესებელ და სინამდვილეში ფალსიფიცირებულ ღვინოებს ამზადებდნენ, რასაც ვაჭრულ-სავაჭრო ინტერესებით აკეთებდნენ. ამასთანავე ღვინოს დაყენების სიახლენი ევროპაში ვერ სჯობნიდა საქართველოში საუკუნეების მანძილზე დადგენილ მისი დაყენების წესს. ევროპული ტექნიკური სიახლენი უფრო აჩქარებდა ტექნოლოგიურ პროცესებს, ვიდრე აუმჯობესებდა ღვინოს ხარისხს (იხ. ი. ჭავჭავაძე, „ღვინის ქართული დაყენება" თხზ. ტომი 7, 1950 წ. გამოცემა). ამიტომ ქართული ღვინოები ყველგან ქებას იმსახურებდნენ.

სხვათა შორის მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენ გვქონდა საუბარი სამეგრელოში ზალინოსა და ჭკადუაშის მეურნეობებში მეურატების მიერ გამოყენებულ ტექნიკურ სიახლეებზე ღვინის დაყენებაში, მაგრამ მიურატ-დადიანები არ აყალბებდნენ ღვინოებს და მათი პროდუქცია განსაკუთრებით ოჯახში დიდი მოწონებით სარგებლობდა.

როგორც ცნობილია, 1828 წლის ივლისში ფოთი განთავისუფლდა თურქი დამპყრობლების ბატონობისაგან და ამ დროიდან დაიწყო ზრუნვა მისი ნავსადგურის მწყობრში ჩადგომისათვის. რუსეთი მის მიერ ანექსირებულ საქართველოში ფოთის ნავსადგურის გახსნას სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მიზნებით შეუდგა. მთავრობამ 1858 წელს ფოთი ნავსადგურად და ქალაქად დაამტკიცა. ამავე დროს ფოთიდან რიონით ოჩამჩირემდე ამოვიდნენ გემები („აკერმანი", „გოლუბჩიკი", „სესტრიცა" და სხვ.). მდინარის კალაპოტის გაღრმავება-ამოწმენდა წინასწარ იყო ჩატარებული.

ფოთს არ ჰქონდა ბუნებრივი, უშიშარი ნავმისადგომი და გემები რომ ნაპირზე ტალღებს არ მიემსხვრია საჭირო იყო ნავმისადგომის ხელოვნური ნაგებობებით, ბეტონის ჯებირებით შემოზღუდვა, რომ იქ ზღვის ტალღებს არ შეეღწია. შედგა არაერთი პროექტი (ინჟინრების — შავროვის, ჟარინცოვის, მეიერის და სხვათა), მაგრამ ამ პროექტების დეტალების გამო ნავსადგურის მშენებლობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ბოლოს კარგად დამუშავებული პროექტი შეადგინა საზღვაო ინჟინერმა, პროფესორმა ვონზენსენსკიმ და ამ პროექტით 1894 წლიდან ფოთის პორტის მშენებლობა წარმართა (უკვე ქალაქისთავად არჩეულმა) გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ და წარმატებითაც დაამთავრა იგი მე-20 საუკუნის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ ნ. ნიკოლაძემ დაათვალიერა ევროპის რამდენიმე ნავსადგური და მთელი რიგი სიახლეები შეიძინა ნავსადგურის წარმადობის სრულყოფის. რაც მთავარია მშენებლობის მილიონებით ღირებულებას სამბლიგაციო სესხების რეალიზაციისა და ფოთის ნავსადგურიდან გატანილ და შეტანილ საქონელზე საფუთო გადასახადის დაწესებით აწევდა.

ნიკო ნიკოლაძე ფოთის ნავსადგურს საქართველოს ინტერესებისათვის აშენებდა, იგი მას ერის მომავალს უკავშირებდა (იხ. ნ. ნიკოლაძის თხზ. ტ. 2, გვ. 447-451).

როგორც ვწერდით ფოთში რკინიგზის შეყვანისა და აქ ნავსადგურის ამოქმედების შემდეგ რიონის სამდინარო-სანაოსნო გზამ დაკარგა ძველი მნიშვნელობა და იგი ადგილობრივ მომსახურებას დაექვემდებარა. თავის დროზე კი, როგორც აღვნიშნეთ კოლხეთის სანაოსნო გზებით წარმატებით სარგებლობდნენ.

მამანტი პაჭკორია,
ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ოდიში" №22.

# [illegible]

ხათუნა ზაურის ასულ ძიძიგურს დაბადების დღეს ულოცავს იზა დეიდა, უსურვებს ჯანმრთელობას, ვაჟიშვილის შეძენას და ულევ სიხარულს.

იზა გრიგოლია.

---

ნარაზენის ჩაის მეურნეობის კოლექტივი დაბადების 50-ე წლისთავს ულოცავს რევაზ აპოლონის ძე კვარაცხელიას, უსურვებს ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს.

---

ჩემს შვილს—პატარა ანიკოს დასჭირდა თითების სასწრაფო ოპერაცია, რომელიც ჩაუტარა ენგურქაღალდკომბინატის საავადმყოფოს ქირურგმა ლომერ ლაგვილავამ. ოპერაციის შემდეგ ბავშვი წავიყვანეთ მოსკოვის ვიშნევსკის სახელობის ინსტიტუტში, სადაც პროფესორმა ვ. მ. გრიშკევიჩმა მაღალი შეფასება მისცა ქართველი ქირურგის მიერ გაკეთებულ ოპერაციას და მადლობა გადაუხადა მას მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

ჩვენც, პატარა ანიკოს მშობლები დიდ მადლობას გამოვთქვამთ ლომერ ლაგვილავას და მედიცინის დის ირა ებრალიძის მიერ გამოჩენილი გულისხმიერებისათვის და ვუსურვებთ მრავალი ადამიანისთვის მიენიჭებინოთ სიხარული.

ბელა ხარებავა,
ომარ ბასარია.

## მოქალაქეთა საყურადღებოდ!

ამა წლის 8 მარტს ქ. ზუგდიდის საცალო ვაჭრობისა და საზკვების სამმართველოს მიერ ტარდება სახელმოქმედო აუქციონი შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრში დილის 10 საათზე.

აუქციონზე გაიყიდება უცხოური წარმოების შემდეგი დასახელების საქონელი: ვიდეო მაგნიტოფონები, ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, საქსოვი მანქანები, მაგნიტოფონები და სხვა.

აუქციონზე საქონელი გაიყიდება ნაღდ ანგარიშზე, ასევე მეანაბრეებს შეუძლიათ შემნახველი ბანკის საანგარიშსწორებო წიგნაკის გამოყენება სასურველი ნივთის შესაძენად.

აუქციონის ჩატარებიდან მიღებული ამონაგები ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში და მოხმარდება მრავალშვილიანი ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და სხვა საქველმოქმედო ხასიათის ღონისძიებების დაფინანსებას.

პრეფექტურასთან შექმნილი სააუქციონო კომისია.

## რ. ა. ქარდავა

გარდაიცვალა ტრესტ „ზუგდიდგაზის" მთავარი მექანიკოსი როლანდ ალექსანდრეს ძე ქარდავა.

რ. ქარდავა დაიბადა 1938 წელს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შრომით საქმიანობაში ჩაება 1958 წლიდან. მუშაობდა ენგურჰესის მშენებლობაზე მუშად, თბილისის №1 ავტოსაწარმოში ავტოსადგომის უფროსად. 1976 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ტრესტ „ზუგდიდგაზში" მთავარ მექანიკოსად.

საქმით გამორჩეულს, პატიოსან, მართალ და ყველასათვის ახლობელ პიროვნებას ყველგან და ყველაფერში წესრიგი და ზომიერება უყვარდა. მისი შრომა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

განსვენებულს ბევრი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. იგი ჩვენგან წავიდა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო.

რ. ქარდავას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს ამხანაგების, მეგობრების და კოლეგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აჯ. ჭანტურია.

## გიწვევთ კურორტზე!

პროფკავშირების ბორჯომის სანატორიულ-კურორტულ დაწესებულებათა გაერთიანებას ადგილზე სარეალიზაციოდ გააჩნია ბორჯომის სანატორიუმებისა და პანსიონატების საგზურები (კუჭ-ნაწლავისა და ნივთიერებათა ცვლის მკურნალობის პროფილით, შაქრიანი დიაბეტი).

საგზურის ღირებულება 201-დან 294 მანეთამდეა.

შეძენა შეიძლება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. დასვენებისა და მკურნალობის მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მიმდინარე წლის 5 ივნისამდე.

ჩვენი მისამართი: ქ. ბორჯომი, მ კოსტავას ქ. №2, გაერთიანება „ბორჯომკურორტი", ტელ. 2—30—40, 2—22—71, 2—22—70.

„ბორჯომკურორტის" გაერთიანება.

---

1991 წლის 12 მარტს, 12 საათზე მოწვეულია სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭოს ფიზკულტურის ინსტრუქტორების, მწვრთნელების, ბავშვთა სპორტული სკოლების დირექტორების თათბირი.

სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭო.

---

ზუგდიდის სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭოს პირველობაზე ზუგდიდის სპორტულ დარბაზში შეჯიბრება ჩატარდება მაგიდის ჩოგბურთში—22 და 23 მარტს, ვაჟთა შორის ფრენბურთში—28 და 29 მარტს, ქალთა შორის—30 მარტს.

დებულება დაგზავნილია ფიზკულტურის ყველა კოლექტივებისათვის.

შეჯიბრების დაწყება: 12 საათი. დღემდე ჩატარებული შეჯიბრებებიდან (ჭადრაკი, შაში, პნევმატური შაშხანით სროლა) პირველ ადგილზეა ჭითაწყარის კოლმეურნეობა.

სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რაიონული საბჭო.

---

საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებით მომწოდებელმა ორგანიზაციებმა მოუმატეს შესასყიდ ფასებს ბუნებრივ და თხევად გაზზე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო იძულებული გახდა 1991 წლის 8 თებერვლის №88 დადგენილებით მოემატებინა თხევადი და ბუნებრივი გაზის რეალიზაციის ფასები.

1991 წლის 1 თებერვლიდან დაწესებულია თხევადი და ბუნებრივი გაზის გადასახადის შემდეგი ნორმები:

ერთი კილოგრამი თხევადი გაზის ღირებულება განისაზღვრება 30 კაპიკით, ბალონის ცვეთის ღირებულების დამატებით 0.322 კაპიკი. ე. ი. ერთი ბალონი გაზის ღირებულებაა 8 მან. 54 კაპიკი.

ახალი ნორმებით ბუნებრივი გაზის გადასახადი დაწესებულია შემდეგი ოდენობით:

1. გაზის ქურით სარგებლობისათვის ერთ კაცზე თვეში დაწესებულია 65 კაპიკი.

2. გაზის წყალგამაცხელებლით სარგებლობისას ცხელი წყალმომარაგებისათვის ერთ კაცზე თვეში დაწესებულია 60 კაპიკი.

3. გათბობის პერიოდში გაზის წყალგამაცხელებელი ხელსაწყოებით სარგებლობისას შენობის გასათბობად, ერთი კვადრატული მეტრის გათბობისათვის დაწესებულია გადასახადის თანხა 24 კაპიკი.

4. გათბობის პერიოდში ბუნებრივ გაზზე მომუშავე ბუხრით სარგებლობისათვის შენობის გასათბობად ერთ დანადგარზე თვეში დაწესებულია 9 მანეთი და 10 კაპიკი.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ტრესტ „ზუგდიდგაზის" ადმინისტრაციას შემდეგი მისამართით: კრილოვის მეორე შესახვევი №4, ტრესტი „ზუგდიდგაზი".

---

შვილები: კლარა. გურამი. დალი. და თალიკო. ძმისშვილები დინა, რუსიკო ჭკადუები, დისშვილები ხათუნა. სოსო. სიძეები: ზაურ მითაგვარია. იური გრელი. გურამ შელია. ვალერ დგებუაძე. რამაზ პერტია. რძლები: ნანი ხუბუა, ნანა გოგია. შვილიშვილები: მანანა. მამუკა. კახა მითაგვარიები. ლელა. ცირა. ჭაბუკა ჭკადუები. ირაკლი ბიგვავა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

შიქიკო (ჭუჭუ) თედოს ძე ჭკადუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 მარტს. დაკრძალვა 10 მარტს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ჭობულეთის 34. (ი. ბ. კ.)

---

შემნახველი ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ნოკო კვატაშის ძე ჭურღულიას

გარდაცვალებას.

---

კახათის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი თანაუგრძნობს თინიკო ჩიკვატიას დედის

ვენერა ვლადიმერის ასულ ქორთუა-ჩიკვატიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ტრესტ „ზუგდიდგაზის" მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან თანამშრომლის

როლანდ ალექსანდრეს ძე ქარდავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ჯუმის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის

ეთერ პიმენის ასულ ჯანჯღავა-დარასელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ნანული. შვილები ლალი. ლამზირა. ვახტანგი. ძმები: ლუდა. კაკო, დები ნანული გული. ეთერი. ზაირა ქანთარიები. სიდედრი პაშა. ცოლისძმები ვაჟა. მურმანი, ცოლისდები: მზია. გული ჯალაღონიები. სიძეები: ზაურ ცინცაძე, დათო ქირია. ალექსანდრე ჩიჩილაშვილი. დურმიშხან ნავროზაშვილი. სერიოჟა კვარაცხელია. ვალიკო ჯაშიაშვილი. შვილიშვილები: სოფიკო, მაია. რობერტი. მიშიკო. ძმისშვილები: ფრიდონი. ფირუზა, ეკა. დათო. დისშვილები: რობიზონი, ჯიმშერი. ჯანიკო. გია. ზაზა. ნინო. ვეთხია, ლათო. რძლები: ეთერი. ჭუტა. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებითა და ახლო ნათესავებით იუწყებიან

ზონდო რაჟდენის ძე ქანთარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7. 8. 9 მარტს. დაკრძალვა 10 მარტს 17 საათზე სოფ. ინგირში. გამოსვენება წერეთლის 28.

---

ორსანტიის ხანერგე მეურნეობის დირექცია. სასოფლო საბჭოს აღმასკომი, პროფკავშირული ორგანიზაცია თანაუგრძნობენ იზოლდა ჩიკვატიას დედის

ვენერა ვლადიმერის ასულ ქორთუა-ჩიკვატიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

შემნახველი ბანკის ზუგდიდის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან თ [illegible] ლათათიას დედის

ლუბა [illegible] ა-ლათათიას

გარდაცვალებას.

---

მეუღლე მოკონა. შვილები: ლუარა. მთვარისა. მანანა. მადონა. ელგუჯა. ძმები: ნოე. ამირანი. შვილიშვილები მამუკა. ლაშა. თეა გოგუები. ელიკო ჯაბურია. სოფიკო. ნათია. დიანა ხოსრიაშვილები. ნათია. ლანა. ანა კვირკველიები. ძმისშვილები: გოგი. ლიანა თენგიზ. რუსიკო. სვეტა. ლიანა, გენო. ნანი. ნინო. ნოდარი, ნათია. სიძეები: კოჩია გოდუა. ალიოშა გასვიანი. ბორის ხოსრიაშვილი. ზურაბ კვირკველია. რძლები: ეთერი. ანია. ოფელია. დეიდები ბაბუცა ახალაია. ასპირო ჯანჯღავა. ფაცია ქობალია. მაირა ორზოლია. სიდედრი მარუსია ცაავა. ცოლისდები: ქუჩუნა. [illegible]. ცოლისძმები: [illegible]. არჩილ ცაავები. მამიდაშვილი, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ალიოშა მაქსის ძე შამუგიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7. 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს ახალკახათში.

---

დედა მავრა. მამა ალფეზი. შვილი სოფიკო. და გულნაზი. ძმები: გურამი. გულადი. რძლები: მარინა ჭითანავა. მიმოზა ქანთარია. სიძე ოთარ წერეთელი. ბიძები ლულუნ ფიფია. ლუდა ფარცვანია, ლუდა გოგოხია. ამროსი ტუღუში. მამიდები: ვერიჩქა. გულიკო. დეიდები ლუნა. ლილი ფიფიები. ბიცოლები შურა. მერი. ცაცა. დისშვილები: მამუკა. თამარ წერეთლები, ძმისშვილები: თათია. გოჩა. ხათუნა გვარამიები. ბიძაშვილები: იური. გიგლა გვარამიები. სერიოჟა. ზური. რომანი. ასმათი ფიფიები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

როლანდ ალფეზის ძე გვარამიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს ს. ოქტომბერში.

---

შვილები: მურმანი, ნუნუკა. ნანული. ციალა. რძლები: შურა. ჭუტა ჩიქოვანი, ლიდა. სიძეები ვლადიმერ გვაზავა, პროკოფ კუჩუხიძე, გურამ ლეთანძე. შვილიშვილები. შვილთაშვილები. ახლო ნათესავები იუწყებიან

ლუბა პეტრეს ასულ ცომაია-ბოკუჩავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7 მარტს. დაკრძალვა 9 მარტს 17 საათზე სოფელ საზოკუჩავოში. (აბაშის რაიონი).

---

შვილები: ნანული. მზია. იზოლდა. თინიკო. ცისანა. ინეზა. ელისო. და თინა, მულები: ანინა. ანტისა. ბუცა, მარგო. არიადინა. კატუშა. სიძეები: კაპიტონ შამათავა. არჩილ ჩხოლარია, ტარიელ ჯიქია, თამაზ პერტაია, გოჩა ხაზალია. ბიძები: ილია, ლუკა არქანიები. დეიდა ბაბილინა, ბიცოლები: ვერა. აგრაფინა, თამაშა. შვილიშვილები: ფატიმა, ზვიადი ლაგვილავები, ამირანი. ტარიელი ჩხოლარიები. ნინო. ირაკლი ჯიქიები, მაკა. პაატა პერტაიები. ლევან ხაზალია, დისშვილები: ჯემალი. კარლო. შორენა. ლეონიდე ქირიები, მაზლიშვილები: ზაირა. მზიური. ფირუზა. გულვერი. ოთარ ჩიკვატიები, ბიძაშვილები. დეიდაშვილები, მულიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

ვენერა ვლადიმერის ასულ ქორთუა-ჩიკვატიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 მარტს. დაკრძალვა 10 მარტს სოფ. ორსანტიაში.

---

თინა. მიშა. ნათელა. შურა ცხადაიები ოჯახებით იუწყებიან ბიძაშვილის

როლანდ ალექსანდრეს ძე ქარდავას

გარდაცვალებას.

---

თამარ ბულია და გვანჯი ბასილაია შვილი კახათი იუწყებიან

მანერა კონსტანტინეს ასულ სანდუხაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილი ძუძუნა შონია, სიძე ზაური. შვილიშვილები ზაალი. ირაკლი კაჭარავები იუწყებიან

მარო ლუკას ასულ მეკუა-შონიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 10 მარტს, ახალხიბულაში (ხობის რაიონი).

---

ორსანტიის ხანერგე მეურნეობა. სასოფლო საბჭოს აღმასკომი და პროფკავშირული ორგანიზაცია იუწყებიან ამავე მეურნეობის თანამშრომლის

მანერა კონსტანტინეს ასულ სანდუხაძე-სიჯაიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

[illegible] 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-23-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიო-რედაქციის 2-47-02.

საქ. ხელოვნსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 53, ტელეფონი 2-28-07. ტირაჟი 8000. შეკ. № 771